პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 110 (9777)
7 ივნისი, სამშაბათი, 1988 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარჯა დაუფასდათ

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა ველოსპორტში რესპუბლიკის ნაკრები გუნდის მომზადებისა და ამ გუნდის მიერ ჭაბუკთა მეორე საკავშირო თამაშებში მიღწეული მაღალი სპორტული შედეგებისთვის საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭა: **კ. შენგელიას, ა. ხახიაურს, რ. წაქაძეს, პ. ჩეკვარდოვს,** (ნაკრების გაერთიანებული ბრიგადა, ყველა — თბილისი); გამარჯვებულ სპორტსმენთა პირად მწვრთნელებს: **ვ. მალცევს** (თბილისი), **ვ. კუხბას** (რუსთავი), **გ. ყავლაშვილს** (ლაგოდეხი), **მ. ხარაბაძეს** (ქუთაისი).

საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი **ა. თავაძე** და გუნდის ექიმი **ჟ. გაბარაევა,** აგრეთვე სხვა ცალკეული მუშაკები, ორგანიზაციები, ასპარეზობის მასპინძელი რეგიონები და მთავარ მსაჯთა კოლეგია დაჯილდოვდნენ სპორტსახკომის საპატიო სიგელით.

პირველად საქართველოს ველოსპორტის ისტორიაში

ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშების ჩემპიონი საგზატკეცილო ველორბოლაში საქართველოს ნაკრები გუნდი.

ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშები

ათვლა ოქროს მედლებით იწყება

საქმის სიყვარულით, ერთგულებითა და მონდომებით ბევრის მიღწევა შეიძლება, თქვენ წარმოიდგინეთ დიდი წარმატებისაც კი, თან ტრადიციულად დაკანონებულ ისეთ „არაქართულ“ დისციპლინაში, როგორიც საგზატკეცილო ველოსპორტია. ტრადიციულად დაკანონებულიო, როცა ვამბობთ ჩვენი სპორტის ისტორიას ვიხსენებთ, მისი აღმავლობისა თუ კრიზისის წლებს. ჩვენ არ ვაპირებთ უკვე გასული საკავშირო ჩემპიონატებისა და შეჯიბრებების ანალიზს. არ ვაპირებთ იმიტომ, რომ ასეთი ანალიზი ახალს არაფერს მოგვცემს ტრადიციული პასუხის გარდა: საგზატკეცილო ველოსპორტი ვერ თავსდება ჩვენი ახალგაზრდობის შინაგან ბუნებასთან და ამიტომ რამე წინსვლაზე, პროგრესზე ლაპარაკი უაზრობაა.

არადა, ტრადიციას ადამიანები ქმნიან და ადამიანებივე ამსხვრევენ. ჩვენს ველოსპორტზე იმთავითვე ნეგატიური წარმოდგენა რომ შეექმნა, პირველ რიგში ჩვენივე ბრალია, თორემ რესპუბლიკა არც გზების სიმცირეს განიცდის, არც ველოსიპედებისა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, არც ნიჭიერი ახალგაზრდებისას. და თუ აქამდე გვაკლდა ინიციატივა, მტკიცე ხელი, მახვილი თვალი და ლიდერი — ჩვენვე დავაშავეთ. სწორედ ამიტომ მთავარი ამოცანა ასეთი ლიდერის ძებნა იყო, მისი აღმოჩენა და დასაქმება ოღონდ ყოველმხრივი მხარდაჭერისა და დახმარების პირობებში.

პიროვნების როლი სპორტში ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ცხოვრებაში. ანდრო ჟორდანიამ, მაგალითად, ქართულ ფეხბურთში მთელი ეპოქა შექმნა, მიხეილ კეკელიძემ და სულიკო თორთლაძემ — კალათბურთში. ჩვენს სპორტს სხვა თავდადებული მოამაგეც ბევრი ჰყოლია, მათ მაგალითზე თაობები იზრდებოდა. ზოგს მახვილი თვალი ჰქონდა, უტყუარი ალღო, დარწმუნების ძალა. ასეთი ხალხისთვის სპორტი ცხოვრების წესი გახლდათ. თვითონ რომ ყველაფრის გაცემა შეეძლოთ, სხვებისგანაც ამას ითხოვდნენ და წარმოიდგინეთ უამრავ მიმდევარსა და თანამოაზრეს პოულობდნენ.

ერთი ასეთი ლიდერი ველოსპორტსაც სჭირდებოდა, რომ დაკანონებული ტრადიცია და სტერეოტიპი ერთხელ და სამუდამოდ დაემსხვრია.

კარლო შენგელია ქვეყნის ნაკრებ გუნდში პირველად 1972 წელს მიიწვიეს. ახალგაზრდა სპეციალისტისთვის მოწინავე სპორტსმენებთან მუშაობა გამოცდილების ჩინებული სკოლა იყო. 1981-1985 წლებში იგი საბჭოთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდა. ხუთი წლის მანძილზე გუნდმა, რომელსაც კარლო შენგელია თავკაცობდა, მსოფლიო ჩემპიონატებში ცხრა უმაღლესი ჯილდო მოიპოვა, სამოცდასამი მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა. მისი დამსახურება ისიც გახლავთ, რომ 1982 წელს ჩვიდმეტწლიანი შესვენების შემდეგ საბჭოთა ველოსიპედისტებმა მსოფლიო ჩემპიონის სახელი დაიბრუნეს გუნდურ რბოლაში. ამ და ბევრმა სხვა წარმატებამ ჩვენი თანამემამულე მოწინავე მწვრთნელთა ავანგარდში ჩააყენა.

უკეთეს ლიდერს ქართული ველოსპორტი ვერც ინატრებდა, ლიდერს — გამოცდილს, კეთილსინდისიერს, საქმის მცოდნესა და მოყვარულს, მისი მოწვევა საქართველოში სამუშაოდ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო, რომელსაც სასიკეთო ძვრები უნდა მოჰყოლოდა. დღეს, როცა რესპუბლიკის ველოსიპედისტთა გუნდმა ჭაბუკთა მეორე საკავშირო სპორტულ თამაშებში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ამაზე ღირს ხმამაღლა ლაპარაკი. წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო. ჩვენ დათვლის საშუალება უფრო ადრე მოგვეცა, თანაც ტრადიციულად დაკანონებულ ისეთ „არაქართულ“ დისციპლინაში, როგორიც მრავალდღიანი ველორბოლაა — საგზატკეცილო ველოსპორტის ყველაზე რთული და შრომატევადი ნაირსახეობა.

საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელს კარლო შენგელიას სასაუბროდ ბოლო ეტაპის დამთავრებისთანავე შევხვდით, როცა ამ გამარჯვების მნიშვნელობა კარგად ჯერ კიდევ არ გვქონდა გაცნობიერებული. მეორე დღეს კიშინიოვში მიფრინავდა, გოგონათა მრავალდღიან ველორბოლაზე.

● **რას გრძნობდით გამარჯვების პირველ წუთებში?**

— იმას, რომ ჩვენს გულმოდგინე შრომას უნაყოფოდ არ ჩაუვლია.

● **კონკრეტული საუბარი თუ გქონდათ რბოლის დამთავრების შემდეგ გუნდის წევრებთან?**

იხ. მე-4 გვ.

გურიელი და აზმაიფარაშვილი — ლაურეატები

ჰავანაში (კუბა) დამთავრდა გენიალური კუბელი მოჭადრაკის ხოსე რაულ კაპაბლანკას 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საჭადრაკო ფესტივალი. რიგით 23-ე მემორიალი საქართველოს წარგზავნილებისთვის იღბლიანი გამოდგა. ქალთა ტურნირში ყველას აჯობა თბილისელმა დიდოსტატმა ნინო გურიელმა, ვაჟებში კი საუკეთესო იყო თბილისელი საერთაშორისო ოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი.

ნათია წკეპლაძე — პრიზიორთა შორის

ბულგარეთის ქალაქ ვარნაში დამთავრდა ტრადიციული, XII საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი „ალენ შაკი, ვარნა-88“. სამივე ტურნირი, შვეიცარიული სისტემით ჩატარდა. დიდ წარმატებას მიაღწია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა, ოსტატობის კანდიდატმა ნათია წკეპლაძემ, რომელიც ქალთა ტურნირში თავიდანვე ლიდერთა შორის აღმოჩნდა და საბოლოოდ 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულით I-IV ადგილები გაიყო. დამატებითი მაჩვენებლებით მას II ადგილი ხვდა. ვაჟთა ტურნირში ვარლამ ვეფხვიშვილმა 5,5 ქულით VII ადგილი დაიკავა.

პირველი ჩემპიონატის პირველი ჩემპიონი

ესპანეთის ქალაქ ხიხონში დამთავრდა ევროპის პირველი ჩემპიონატი ე. წ. აქტიურ ჭადრაკში. 13 შესაძლებლიდან 10-10 ქულით I-II ადგილები გაიყვეს ანატოლი კარპოვმა და ვლადიმერ ტუკმაკოვმა. ჩემპიონის სახელი კარპოვს მიეკუთვნა, რადგან მას უკეთესი კოეფიციენტი აღმოაჩნდა 9,5 ქულით III ადგილი დაიკავა ვიქტორ გავრიკოვმა.

აღსანიშნავია, რომ 109 მონაწილიდან 45 საუკეთესო მოჭადრაკეს აქტიურ ჭადრაკში პირველი მსოფლიო ჩემპიონატის საგზურები ხვდათ წილად. მათ შორისაა მსოფლიო ოთხგზის ჩემპიონი ქალთა შორის მაია ჩიბურდანიძე.

გამარჯვებით დაიწყეს

საფრანგეთის ქალაქ ტულონში მიმდინარეობს ახალგაზრდა ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. საბჭოთა ფეხბურთელებმა პირველი შატჩი მაროკოელ თანატოლებთან გამართეს. მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0 (1:0). ორივე ბურთი ბაქოელმა კასუმოვმა გაიტანა.



დინამოელი დიმიტრი გორდიენკო რესპუბლიკური ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონი გახდა თანამედროვე ხუთჭიდში. ეს შეჯიბრება, რომელშიაც ჭაბუკთა - საკავშირო თამაშების რესპუბლიკური ნაკრები გუნდის კანდიდატებიც გამოდიოდნენ, ამ დღეებში დამთავრდა თბილისში. (წერილს „ლელოს“ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ).

ჯემალ კასრაძის ფოტო.

ყოველ სამშაბათს...

რამ გაგახარათ, რამ დაგწყვიტათ გული?

30 მაისი — 5 ივნისი

გასული კვირის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ქვეყნის სპორტულ ცხოვრებაში გახლდათ ჭაბუკთა მეორე საკავშირო თამაშების პროგრამით გამართული ველოსიპედისტთა შეჯიბრება, რომელსაც ჩვენმა რესპუბლიკამ უმასპინძლა. შეგახსენებთ, რომ საკავშირო თამაშები ამ ასპარეზობით დაიწყო და მით უფრო საამაყოა რესპუბლიკის ველოსიპედისტების წარმატება როგორც გუნდურ, ისე პირად ჩათვლაში. ჭეშმარიტად დიდი სიხარული მოუტანეს ქართული სპორტის გულშემატკივრებს ჩვენმა ჭაბუკებმა, ეს არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, იმედიანი სიხარული, რადგან ხვალ და ზეგ დღევანდელი უმაწვილები დიდ საკავშირო და საერთაშორისო არენაზე დაიცავენ რესპუბლიკისა და ქვეყნის სპორტულ ღირსებას. გულშემატკივრები გვთხოვენ მადლობა გადავცეთ გუნდის თითოეულ წევრს, უფროს მწვრთნელს, შესანიშნავ სპეციალისტს კარლო შენგელიას, რომელმაც შედარებით მოკლე დროში შეძლო შეექმნა მებრძოლი და ძლიერი კოლექტივი.

დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის ხელმძღვანელობაში მომხდარმა ცვლილებებმა. თავიანთ წერილებში ფეხბურთის გულშემატკივრები მხარს უჭერენ დინამოელთა ახალ თავკაცს დ. ყიფიანს და მოითხოვენ, რომ გუნდმა, რომელმაც თავად აირჩია მწვრთნელი, ერთსულოვნებით და მონდომებით წერტილი უნდა დაუსვას კოლექტივში თავჩენილ პრობლემებს.

მკითხველებს უურადღებიდან არ რჩებათ არც ერთი წვრილმანი, რაც საერთოდ ქართულ სპორტთანაა დაკავშირებული. კვლავ მოაქვთ სიხარული ჩვენ ბატუტისტებს. ახლახან ოდესაში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში ინდივიდუალურ ხტომებში უძლიერესი იყო ანა დოლონაძე, რომელმაც აქვე ლიანა ბენდიანიშვილთან ერთად კვლავ პირველობა მოიპოვა.

კოვში თუ მჭედლიშვილი? ამ დუეტის პაექრობა ოლიმპიური საგზურისათვის გრძელდება. გახულ კვირაში რევანში კოვშმა აიღო, ახლა დარჩა ბოლო ეტაპი — ქვეყნის საუფლოზული ჩემპიონატი (ტრეკი).

ფეხბურთის მოყვარულთა ერთი ჯგუფი უკმაყოფილია, რომ „ლელომ“ მკითხველებს არ გააცნო ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალისტები. დღეიდან უკვე ვიწყებთ ამ გუნდებზე საუბარს და შევეცდებით ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომრებშიც დავუთმოთ მათ ადგილი.

გასული კვირის მოვლენების შეფასებაში მონაწილეობა მიიღეს მკითხველებმა: ბ. გრძელიძემ, ვ. ვაშაყმაძემ, ვ. ბიბილურმა, ი. კოჩკიანმა, მ. გიგაურმა (თბილისი), ი. მენაბდემ, ვ. როყვამ (ფოთი), ე. ბარათაშვილმა (ქალაქი), ბ. ხუციშვილმა (გორი), ლ. ორთოიძემ (თერჯოლა).

მსჯელობენ კომუნისტები

ყურადღების ცენტრში — გადასაჭრელი პრობლემები

ბოლო წლებში ქუთაისში დიდი ყურადღება ექცევა ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას. აქ არაერთ ახალ, მნიშვნელოვან ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი, აშენდა ან კაპიტალურად შეკეთდა მრავალი სპორტული ბაზა, საგრძნობლად გამოცოცხლდა ქალაქის სპორტული ცხოვრება, ჩატარდა არაერთი საკავშირო, საერთაშორისო და რესპუბლიკური შეჯიბრება, რომელთაც მონაწილეთა დიდი მოწონება დაიმსახურეს, მრავალი ქუთაისელი სპორტსმენი წარმატებით იცავს ქალაქის, რესპუბლიკის თუ ქვეყნის ღირსებას სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში. ერთი სიტყვით, ქალაქის პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელების აქტიური მხარდაჭერით და თანადგომით ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ ქალაქის სპორტული ტრადიციების მატიანე ახალი მიღწევებით გამდიდრდეს.

თუმცა გასაკეთებელი და გამოსასწორებელი ჯერ კიდევ ბევრია და სწორედ ამ საკითხებს მიეძღვნა პოლიტიკური განათლების სახლში ჩატარებული ქუთაისის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელმაც მოისმინა და განიხილა სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ვახტანგ ოყრეშიძის მოხსენება ქუთაისის ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრების დღევანდელი მდგომარეობისა და სამომავლო ამოცანების შესახებ.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა ვრცლად ისაუბრეს იმ აქტუალურ საკითხებზე, რომელთა დროული გადაჭრა ხელს შეუწყობს ქუთაისში ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის შემდგომ განვითარებას. ნიშანდობლივია, რომ ორატორებმა ლაკონურად ისაუბრეს მიღწევებზე, ძირითადი ყურადღება კი გადასაჭრელ პრობლემებზე გაამახვილეს. აღინიშნა, რომ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დღევანდელი დონე სრულად ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, ახლო მომავალში გონივრული გარჯა და გეგმაზომიერი მუშაობაა საჭირო იმისათვის, რომ ყველა ქუთაისელმა სპორტულმა მუშაკმა აქტიურად იბრძოლოს იმ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, რომლებიც აფერხებენ სპორტული ბაზების აშენება-მოწესრიგების, ინვენტარის დამზადება-შეძენის, ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტთა, მწვრთნელთა როლისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების, ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის გააქტიურების საქმეს.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ მასობრივ-გამჯანსაღებელ მუშაობაში ჯერ კიდევ ხშირად ვაწყდებით ნეგატიურ მოვლენებს, კოოპერაციული საქმიანობის განვითარება კი საგრძნობ გაუმჯობესებას მოითხოვს.

დაისახა კონკრეტული ღონისძიებები ყველა იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებზეც აქტივის კრებაზე იყო საუბარი და რომელთა განხორციელება ფიზიკურ კულტურას, მასობრივ-გამჯანსაღებელ მუშაობას საყოველთაო ჯანმრთელობისა და დიდი სპორტის მიღწევათა ბალავერად აქცევს.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ტარიელ ლორთქიფანიძე.

თამაზ ხარაბაძე.
(„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი).

ქუთაისი.

კამათში იბადება ჭეშმარიტება

გაზეთ „ლელოს“ 24 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა მიხეილ ოყროშიძის წერილი „რა გვიჩვენა ქვეყნის ჩემპიონატმა“. ავტორი აღნიშნავს ჩვენი კლასიკური სტილის მოჭიდავეების არადამაკმაყოფილებელ გამოსვლას საკავშირო ჩემპიონატში და ამტკიცებს, რომ ეს ძირითადად განპირობა გუნდის მზადების არასწორმა გეგმამ. ახლა გთავაზობთ იმ გეგმის ერთ-ერთი ავტორის გურამ რატიშვილის პასუხს. აქვე დავძენთ, რომ პასუხის დასკვნით ნაწილში გამოთქმული მოსაზრება ახეთი კამათის ფორმის შესახებ ეთანხმება ჩვენი გაზეთის პოზიციას.

ქართული პერიოდული პრესის მკითხველს არაერთხელ ჰქონდა შესაძლებლობა გასცნობოდა მიხეილ (ნოდარ) ოყროშიძის პოპულარულ სტატიებს ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის ზოგიერთი საკითხის შესახებ. „სტრესი, სტრესი, სტრესი“, „ნელი სიარულიდან — მარათონულ სირბილამდე“, „სპორტი და სტრესი“, „ფიზიკური დატვირთვა და ჯანმრთელობა“ და სხვ.

როგორც ჩანს, მ. ოყროშიძემ გადაწყვიტა დახმარება გაუწიოს სპორტის ფსიქოლოგებსა და ფიზიოლოგებს და გამოდის როგორც ამ დარგების პოპულარიზატორი.

ზომიერი სირბილისაგან აერობული გამძლეობა რომ უმჯობესდება, ამას ჯერ კიდევ ჰიპოკრატე აღნიშნავდა და მას ყოველდღიური ვარჯიშისათვის სთავაზობდა ხალხს. საერთოდ, რბენის სისტემები შემუშავებულია მრავალი საბჭოთა და საზღვარგარეთელი მეცნიერის მიერ, მაგრამ მ. ოყროშიძემ საკუთარი ვარიანტი შემოგვთავაზა ისე, რომ არ უზრუნია შეედარებინა იგი მათთვის. ამასთან, მან მთლიანად გამორიცხა საკუთარ მეთოდში რაიმე ფიზიოლოგიურ ნიშან-თვისებათა გამოკვლევა, რასაც ყოველთვის აკეთებდნენ მისი წინამორბედნი.

თუმცა, ამას არა აქვს მნიშვნელობა: მკითხველთა ის ნაწილი, რომელიც არ იცნობდა ოერობული ვარჯიშის იდეას, ოყროშიძის სტატიის წაკითხვის შემდეგ შეიძლებოდა სირბილის თაყვანისმცემელი გამხდარიყო. ზომიერ სირბილს კი სიკეთის მოტანა შეუძლია. მაგრამ, როცა საქმე მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა მომზადებას ეხება...

გაზეთ „ლელოში“ გამოქვეყნდა მისი კიდევ ერთი სტატია: „რა გვიჩვენა ქვეყნის ჩემპიონატმა“, რომელშიც ავტორი ჭიდაობის სპეციალისტად მოგვევლინა. ვეთანხმები მას, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ჩვენი კლასიკური სტილის მოჭიდავეები არადამაკმაყოფილებლად გამოვიდნენ. იყო ეს ჩავარდნა? შეიძლება ასეც შევაფასოთ, მაგრამ ჩავარდნა კანონზომიერი მაინც არ არის, როგორც ამას მ. ოყროშიძე ამტკიცებს. მათთვის, ვინც თვალყურს ადევნებდა შეჯიბრებას (სხვათა შორის, მ. ოყროშიძე იქ არავის უნახავს) ნათელი გახლდათ, რომ გუნდი უფრო კარგად იყო მომზადებული, ვიდრე შედეგებიდან ჩანს. ჩვენს რამდენიმე წამყვან მოჭიდავეს მცირე ტექნიკური და ტაქტიკური წუნი რომ არ დაეშვა, მეტს მივაღწევდით. მეტიც, ბოლო წელიწად-ნახევარში კლასიკურ ჭიდაობაში წინსვლა შეინიშნება; რესპუბლიკის ნაკრებმა გაიმარჯვა სსრ კავშირის თასის გათამაშების II ჯგუფში და I ჯგუფში დაიმკვიდრა ადგილი. 1987 წელს პირველად გახდნენ ქვეყნის ჩემპიონატის პრიზიორები გ. გედეხაური, თ. თედორაძე, ზ. ივანაშვილი. გ. გედეხაურმა მსოფლიო ჩემპიონატშიც გაიმარჯვა, თ. თედორაძემ ყველას აჯობა ახალგაზრდების მსოფლიო პირველობაში, კოლუაშვილმა — ევროპის პირველობაში თანატოლთა შორის. ჩვენი ახალგაზრდები წლეულსაც

მხოლოდ საერთო აზრით...

წარმატებით გამოდიან: მოსკოვში, საბჭოთა კავშირის პირველობაზე 1968-1969 წლებში დაბადებულ ფალავნებს შორის მათ ორი ოქროსა და სამი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. როგორც ჩანს, ამ პერიოდში გარკვეული წარმატებებია მოპოვებული.

მაინც მინდა ვთქვა, რომ ამ მოკრძალებულმა შედეგებმა არ შეიძლება დააკმაყოფილოს კლასიკური ჭიდაობის მოყვარულნი. გრძელდება მუშაობა ჩვენი მოჭიდავეების მომზადების სისტემის სრულყოფისათვის. ამ საქმეში საჭიროა ყველამ ერთად შევიტანოთ წვლილი, მოთმინებით მოვისმინოთ კრიტიკული შენიშვნები, დავძლიოთ ამბიციები, არ დავუპირისპიროთ მწვრთნელები ერთმანეთს.

ავტორი მე და ბ. ჩაჩანაშვილს ბრალად გვდებს საწვრთნელი გეგმის არასწორად შედგენას, კერძოდ, მიგვითითებს არასაკმარის საწვრთნელ დატვირთვაზე. მან ჩვენი გეგმის ნაკლოვანება იმაში დაინახა, რომ მასში სათანადო ადგილი არ ეთმობა რბენას, რასაც მრავალი წლის განმავლობაში თვითონ ქადაგებს. გასაგებია, რომ სირბილი მოჭიდავეთა მომზადების მხოლოდ ერთი ნაწილია, თანაც ის ნაწილი, რომელიც არ განსაზღვრავს წარმატებას თანამედროვე კლასიკურ ჭიდაობაში. თავისი პოზიციების განსამტკიცებლად სტატიის ავტორი მომართავს ჭიდაობის უდავოდ კარგ სპეციალისტს გ. საპუნოვს. იგი სრულიად უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ გ. საპუნოვი უარს ამბობს რბენაზე თავისი მუშაობის პრაქტიკაში და დიდ ყურადღებას აქცევს სწრაფძალოვან მომზადებას.

უმართებულოა აგრეთვე პროფესორ ლ. მატვეევის დამოწმებაც. პრაქტიკა და სამეცნიერო გამოკვლევები ადასტურებენ, რომ საერთო გამძლეობის მაღალი დონე სპორტის ყველა სახეობაში მაღალ სპორტულ შედეგს არ იძლევა. წერილის ავტორი კი ჩემპიონატზე ჩვენი მოჭიდავეების არადამაკმაყოფილებელი გამოსვლის ერთ-ერთ მიზეზს მათს არასაკმარის გამძლეობაში ხედავს. აქვე მოვიყვან ასეთ მაგალითს: საქართველოს ნაკრები გუნდის წევრებმა უ. თევდორაძემ და ზ. ცხადაძემ მ. ოყროშიძის სისტემით წვრთნის დროს მიაღწიეს გულ-სისხლძარღვთა სისტემის ეკონომიზაციას, მაგრამ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე წარმატება ვერ მოიპოვეს. 1986 წელს მ. ოყროშიძემ ჩაატარა რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრთა ტესტირება 3000 მეტრზე რბენაში და განაცხადა, რომ გუნდი ფუნქციურად არ იყო მზად ზონალური საკავშირო ჩემპიონატისათვის. მისი აზრით, მაშინ მხოლოდ ორ ფალავანს ჰქონდა კარგი ფუნქციური მდგომარეობა. შევახსენებ მ. ოყროშიძეს, რომ ერთი მთგანი საერთოდ ვერ მოხვდა ზონალურ ჩემპიონატზე, მეორემ კი მიიღო მონაწილეობა ამ შეჯიბრებაში, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. იმ წელიწადს ქვეყნის ჩემპიონატის ფინალში პრიზიორები გახდნენ სხვები — გ. გედეხაური, თ. თედორაძე და ზ. ივანაშვილი.

გუნდის მომზადების სტრატეგიის არჩევისას საჭიროა ვიხელმძღვანელოთ სპორტის სახეობის მიმართ სადღეისოდ წაყენებული მოთხოვნებით, გავითვალისწინოთ სპორტსმენთა კონტინგენტის თავისებურებები. კლასიკური ჭიდაობის ქართულ სკოლას ყოველთვის ახასიათებდა ფალავანთა მაღალი ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადება, დაწყებული სახელგანთქმული გ. კარტოზიათი და დამთავრებული ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ბოლო წლების ჩემპიონებით — თ. აფხაზავთი, ვ. ბლაგიძით, თ. უაზარაშვილით და მ. სალაძით. ჩვენი მოჭიდავეების მომდევნო თაობას ასეთი არსენალი არ გააჩნია.

რაც შეეხება წონის დაკლებას, ეს ძალიან რთული და უაღრესად ინდივიდუალური პროცესია. ის, რომ აწონის დღეს ზოგიერთი მოჭიდავე თავის წონაზე 2-3 კილოგრამით მეტი აღმოჩნდა, მათი უპასუხისმგებლობით აიხსნება და არა მცირე საწვრთნელი დატვირთვით (წერილის ავტორი ალბათ უნდა იცნობდეს საწვრთნელ დატვირთვათა დინამიკას შეჯიბრების წინ). ძნელი წარმოსადგენი არ არის, რომ ტექნიკურ-ტაქტიკური მოქმედების შეზღუდული არსენალის მქონე ფალავანს ზედმეტი კილოგრამების დაკლების შემდეგ კაუბრდაკა წარმატების მიღწევა მხოლოდ ფუნქციური მომზადების ხარჯზე.

1986 წელს მ. ოყროშიძემ, რომელიც საქართველოს კლასიკური ჭიდაობის ნაკრები გუნდის კონსულტანტი იყო, საკავშირო შეჯიბრებისათვის მზადების ბოლო ეტაპზე პროგრამაში ჩართო რვა კროსი (მანძილი — 10-25 კმ). მაგრამ ამ უცნაურმა ექსპერიმენტმა შედეგი ვერ გამოიღო და მისი ავტორი გაათავისუფლეს გუნდთან მუშაობისაგან.

თავის წიგნში „კვალიფიციურ სპორტსმენთა მომზადება“ (1986, გვ. 101) ერთ-ერთი დიდი სპეციალისტი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვ. პლატონოვი წერს: „საერთო გამძლეობის განვითარებით გატაცებამ სპორტის იმ სახეობებში, რომლებშიც სპორტულ შედეგს აერობული შესაძლებლობანი არ განსაზღვრავს, მოგვცა ნეგატიური შედეგები, ხშირად გადაულახავი ხასიათისა. ეს გამოიხატებოდა სპორტსმენთა სწრაფძალოვანი და კოორდინაციული უნარის დაქვეითებაში, აგრეთვე ტექნიკური ილეთებისა და მოქმედებათა მოცულობის ათვისების შეზღუდვაში და ა. შ.“

მ. ოყროშიძემ უნდა იცოდეს ეს, თუნდაც როგორც ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის დოცენტმა.

დასასრულს, მინდა მადლობა გადავუხადო „ლელოს“ რედაქციას, რომ მომეცა შესაძლებლობა პასუხი გამეცა მ. ოყროშიძისთვის მის წერილთან დაკავშირებით. მინდა გამოვთქვა სურვილი, რომ შემდგომ მსგავსი საკითხები განხილული იქნეს ჭიდაობის ფედერაციის გაფართოებულ სხდომებზე, რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ჭიდაობის განყოფილებისა და საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ჭიდაობის კათედრის წარმომადგენლებთან ერთად. ინფორმაცია განხილვის შედეგების შესახებ საზოგადოებას მივაწოდოთ პრესის მეშვეობით.

ბუბა რატიშვილი,
საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ჭიდაობის კათედრის გამგე, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

პროფკავშირების რესპუბლიკური საარტაკიადა სპორტის ეროვნულ სახეობებში

ჩემპიონია მახარაძის გუნდი

პიონერთა პარკში ჩატარდა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პირადგუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში სპორტის ეროვნული სახეობების რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით. ფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობდნენ საგარეჯოს, ახმეტის, კასპის, ქარელის, მახარაძის, თერჯოლის, მესტიის, ვანისა და ზუგდიდის რაიონის გუნდები, რომლებმაც თავიანთ ზონაში პირველი ან მეორე ადგილები დაიკავეს.

გუნდურ პირველობაში საუკეთესო იყო მახარაძის გუნდი, მეორე ადგილზე—ახმეტის, ხოლო მესამეზე — ქარელის მოჭიდავეები გავიდნენ. პირად შეჯიბრებაში უძლიერესი ფალავნის სახელი დაისაკუთრეს ზუგდიდელმა ზურაბ შულაიამ (56 კგ), საგარეჯოელმა ზეზვა სუხაშვილმა (60 კგ), ქარელელმა როლანდ ბერუაშვილმა (64 კგ), კასპელმა შმაგი დვალიშვილმა (68 კგ), ქარელელმა გია კუთხაშვილმა (72 კგ), კასპელმა ჯემალ გუდიევმა (78 კგ), საგარეჯოელმა სულხან სუხაშვილმა (84 კგ), კასპელმა ვეფხვია რაზმაძემ (90 კგ) და თერჯოლელმა ვიტალი გაბიანმა (+90 კგ).

ნუგზარ ფვანია,
„ლელოს“ ზონალური კორესპონდენტი.

ზუგდიდი.

„სპორტის დედოფლის“ ოქროს მედალი

ბაბუაქები. 2000 მ (1973-1974). რომან ვარშანიძე (ხელვაჩაური). **3000 მ (1971-1972 წ.).** ზაზა კონცელიძე (ბათუმი). **5000 მ (1969-1970).** იოსებ ევგენიძე (ქობულეთი). **ვაჟები. 8000 მ.** გელა ზოიძე (შუახევი).

გუნდურ ჩათვლაში აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა ქობულეთის რაიონის ნაკრებმა. მეორე ადგილზე გავიდნენ ბათუმელები, მესამეზე — ხელვაჩაურის რაიონის კროსმენები.

ლევან ქავთარაძე,
„ლელოს“ საკ. კორ.

ბათუმი.

სამამულო მძლეოსნობის 100 წლისთავს მიეძღვნა აჭარის პირველობა მძლეოსნურ კროსში, რომელშიც მონაწილეობდნენ ბათუმისა და ავტონომიური რესპუბლიკის ყველა რაიონის ნაკრები გუნდები. გაგაცნობთ გამარჯვებულებს.

ბოგანები. 1000 მ (1973-1974 წ.წ. დაბ.). ოქსანა ახმაევა (ქობულეთი). **2000 მ (1971-1972 წ.)** ნინო მაღლაკელიძე (ქობულეთი). **3000 მ (1969-1970).** რაისა პინკოვა (ქობულეთი). ქალთა შორის გაიმარჯვა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ზურიეთ ბერიძემ.





თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს წლევანდელი სპარტაკიადა ერთგვარად სარეკორდო იყო ანალოგიურ შეჯიბრებათა ისტორიაში: მარტო ფეხბურთში 22 გუნდი ასპარეზობდა. ასევე ხალხშრავალი იყო სხვა სპორტის სახეობებში გამართული შეჯიბრებებიც.

საერთო გუნდური ადგილები ასე განაწილდა: სამმართველოს სახანძრო რაზმი; წყალმომარაგების ნაგებობათა დაცვის მილიციის ქვეგანაყოფი; საბურთალოს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილება.

სსრ კავშირის თასზე

შემდინარეობს სსრ კავშირის 1988-89 წლების საფეხბურთო თასის პირველი ეტაპების მატჩები. უკვე განვლო თამაშებმა II ლიგის საუკეთესო და I ლიგის გუნდების მონაწილეობით, 3 ივნისიდან ბრძოლაში ჩაებნენ უმაღლესი ლიგის კოლექტივებიც. ეს უკვე მეთექვსმეტედფინალური ეტაპის პირველი შეხვედრებია.

დებულების შესაბამისად, უმაღლესი ლიგის გუნდებმა პირველი მატჩები საკუთარ მინდვრებზე გამართეს.

თასზე, ჩვეულებრივ, ხშირია სიურპრიზები, ამგვარი სიურპრიზები საკმარისად მოხდა მეთექვსმეტედფინალის პირველივე ეტაპზე. ფრიად სასიხარულო ცნობა მივიღეთ ოდესიდან, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ჩერნომორეცი“ და ქუთაისის „ტორპედო“. ოდესელთა გუნდი წლეულს დიდი წარმატებით გამოდის უმაღლეს ლიგაში, მას ჯერჯერობით საუკეთესო მაჩვენებლები აქვს და მეექვსე ადგილზე იმყოფება.

ქუთაისის ტორპედოელებმა, რომელთაც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი რევაზ ძოძუაშვილი ხელმძღვანელობს, დიდი მონდომებით, ძლიერად ჩაატარეს ეს მეტად საპასუხისმგებლო მატჩი და ოდესელთა ძლიერი გუნდი დაამარცხეს ანგარიშით 2:0. ქუთაისის ტორპედოელთა კოლექტივის მეორე ლიგაში ჩამოქვეითება ბოლო ხანების წარუმატებელი სეზონების შემდეგ ჩვენი ფეხბურთის ერთ-ერთი უმძიმესი სტკივარია, მაგრამ ახლა თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქუთაისელი ფეხბურთელები თანდათან, მეთოდურად უბრუნდებიან თავიანთ ტრადიციულ სიძლიერეს, გუნდი წარმატებით იბრძვის ძველი თამაშის აღსადგენად და ოდესის „ჩერნომორეცთან“ გამარჯვება ამის ერთ-ერთი საიმედო დადასტურებაა. ყველანი მოუთმენლად მოველით ქუთაისელთა საპასუხო მატჩს თავიანთ მინდორზე „ჩერნომორეცთან“. ვიმედოვნებთ, ჩვენი გუნდი კვლავ ყველაფერს გააკეთებს თასის გათამაშების შემდგომ, მერვედფინალურ ეტაპზე გასასვლელად (ოდესაში ბურთები გაიტანეს მეგრელაძემ — 51-ე წუთზე და კაჭარავამ — 71-ზე).

თასის განვლილ მატჩებში სხვა მოულოდნელი შედეგებიც საკმარისად აღინიშნა. ასეთთა კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ ერევნის „არარატის“ დამარცხება საკუთარ მინდორზე ლვოვის ასკ „კარპატისთან“ — 2:3, გარდა ამისა, მასპინძელთა კვალობაზე ფრიად მოკრძალებულ გამარჯვებებს მიაღწიეს ფბილისის დინამოელებმა კიშინიოვის „ნისტრუსთან“ (2:1), საკავშირო თასის ახლანდელმა მფლობელმა ხარკოვის „მეტალისტმა“ კზილ-ორდას „მელიორატორთან“ — 2:1, ლენინგრადის „ზენიტმა“ კუიბიშევის „არილია სოვეტოვთან“ — 1:0. ამ გუნდებს ძალების სრული დაძაბვით მოუწევთ ბრძოლა საპასუხო მატჩებში.

კიევის „დინამოსა“ და ლანჩხუთის „გურიის“ პირველი მეთექვსმეტედფინალური მატჩი გადატანილია 16 ივლისისთვის.

თასის მეთექვსმეტედფინალის სხვა მატჩები ასეთი შედეგებით დამთავრდა: „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 5:0, „ნეფტჩი“ (ბაქო) — „ისკრა“ (სმოლენსკი) 2:0, „დინამო“ (მინსკი) — „დრუჟბა“ (მაიკოპი) 3:0, „ტორპედო“ (მოსკოვი) —„აუზბასი“ (კემეროვო) 2:0, „შახტიორი“ (დონეცკი) — „დინამო“ (ბარნაული) 4:0, „კაირატი“ (ალმა-ათა) — „ირტიში“ (ომსკი) 5:1, „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ნივა“ (ტერნოპოლი) 4:1, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ტრაქტორი“ (პავლოდარი) 1:0.

მეთექვსმეტედფინალის საპასუხო შეხვედრები დაგეგმილია 20 ივლისისთვის.

ტურნირზე გაემგზავრნენ

დღეს დილით მოსკოვიდან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მონაწილეობის მისაღებად, გაემგზავრა ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდი.

ჩემპიონატისთვის ბოლო სამზადისი საბჭოთა ნაკრებმა მოსკოვის მახლობლად ნოვოგორსკის საწვრთნელ ბაზაზე ჩაატარა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვალერი ლობანოვსკიმ დასავლეთ გერმანიაში გამგზავრების წინ კორესპონდენტებს განუცხადა:

— დასკვნითი შეკრების მთავარი მიზანი იყო შეგვექმნა ერთიანი შეთანხმებული კოლექტივი, რომელსაც ძალუძს წარმატებით იბრძოლოს დასახული მიზნის მისაღწევად, ვვარჯიშობდით ყველა ფეხბურთელის ფუნქციური მომზადების ასამაღლებლად. ევროპის ჩემპიონატის ფინალური შეხვედრები, ვფიქრობთ, უფრო ინტენსიური და დაძაბული იქნება, ვიდრე მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატისა, ამიტომაც თითეული ფეხბურთელი მზად უნდა იყოს. უკიდურესად დაძაბული ბრძოლისთვის, ზნეობრივად ძალიან უმაღლეს დონეზე.

ჩვენი გუნდის წინაშე სპორტული საზოგადოებრიობა მუდამ მაქსიმალურ მიზნებს სახავს, ჩვენც ამ ამოცანებით ვცხოვრობთ, მაგრამ პროგრამა-მინიმუმად ჯერჯერობით დასახული გვაქვს წინასწარ ჯგუფურ ტურნირში წარმატება და ნახევარფინალში გასვლა. ახლანდელი ევროპის ჩემპიონატის ფინალური ჯგუფები თანაბარი ძალის მეტოქეებითაა დაკომპლექტებული, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ მთელი მონდომებით, კარგად ითამაშო და რაღაც შემთხვევითობის გამო დამარცხდე, ამიტომაც ყველა შესაძლო ნიუანსი წინასწარ საფუძვლიანად უნდა გავითვალისწინოთ. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ დარწმუნებით შემიძლია გითხრათ: ჩვენი გუნდი ყველაფერს გააკეთებს, რისი ძალაც კი მას შესწევს.

ო. ბლოხინის ზემოქმედებით

ცნობილია, რომ საბჭოთა ფეხბურთელი ო. ბლოხინი ამჟამად ავსტრიის კლუბ „ფორვერტს შტაიერში“ თამაშობს. ეს გუნდი მეორე ლიგაში გამოდიოდა, მაგრამ სულ ახლახანს გადამწყვეტ მატჩში ანგარიშით 2:0 (მეორე ბურთი ო. ბლოხინმა გაიტანა) მოუგო „ფესტს“ და 38 წლის შესვენების შემდეგ კვლავ მოიპოვა უმაღლეს ლიგაში დაბრუნების უფლება.

კლუბის შეფმა ი. ტიხმ განაცხადა, რომ ოლეგ ბლოხინის კონტრაქტი „ფორვერტს შტაიერთან“ გაგრძელეს 1989 წლის 30 ივნისამდე.

ფეხბურთი ● ● ●

ათვლა ოქროს მედლებით იწყება

დასასრული

— როცა გონს მოვედი ყველას მიეულოცე გამარჯვება, მადლობა გადავუხადე და ერთი გულიანად გადავკოცნე. ჩვენი საუბარი ამით ამოიწურა.

● თუ ელოდით ასეთ წარმატებას?

— რბოლის დაწყებამდე არა, მერე და მერე... მოგეხსენებათ მადა ჭამაში მოდის.

● ალბათ ახლა მაინც უნდა ამოვარდეს ხმარებიდან ტერმინი — „ტრადიციულად არაქართული“ დინამპლინა?

— ვერ გამიგია რატომ დაკანონდა ეს გამოთქვა, ან რას ნიშნავს იგი. არც ერთ ქვეყანაში, არც ერთ რესპუბლიკაში სპორტის ამგვარი კლასიფიკაცია არ ხდება. ვფიქრობ, ეს ტერმინი თავის გამართლების ან თავის დაზღვევის მიზნითაა გამოგონებული.

● ხვავგვარად რომ ვთქვათ მომავალში ახალ წარმატებებს უნდა ველოდეთ?

— თუ ისე ვიმუშავებთ, როგორც ამ შეჯიბრების წინ. ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. ისიც მინდა გითხრათ, რომ დღევანდელ გამარჯვებას არა აქვს დიდი საიდუმლოება. გუნდი მზად იყო ნებისმიერი გამოცდისთვის და ბედმაც რომ არ გაგვწირა, მიზანს მივაღწიეთ.

● ჰქონდა თუ არა რაიმე მნიშვნელობა „საკუთარ კედლებს“?

— საგზატკეცილო სპორტში მაყურებლებთან კონტაქტი ნაკლებია, ამიტომ „საკუთარი კედლების“ უპირატესობა, როგორც წესი, მინიმუმამდეა დაყვანილი. ეს შეჯიბრება თავდაპირველი ვარიანტით ყირიმში უნდა ჩატარებულიყო. იქაური გზები მთაგორიანია და ჩვენც სამზადისი ბუნებრივია მსგავსი პროფილის გათვალისწინებით დავიწყეთ. მაგრამ ყირიმმა შეჯიბრების ჩატარებაზე უარი განაცხადა და მისი ორგანიზაცია საქართველომ ითავა. სამთო ეტაპები ჩვენშიც ბლომადაა და ეს გარემოება გარკვეულ უპირატესობას გვანიჭებდა. „საკუთარი კედლები“ ამაში მართლაც დაგვეხმარა.

● როდის იგრძენით რომ შეგეძლოთ გამარჯვება?

— გუნდმა ეს ჩემზე ადრე იგრძნო, პირველივე ეტაპის შემდეგ, რაც ოდნავ მაშინებდა. რწმენა საკუთარ ძალებში თავისთავად დიდი ბედნიერებაა. დიდხანს ვიბრძოდით იმისათვის, რომ ეს რწმენა ბიჭებში დაგვემკვიდრებია. მაგრამ, გულახდილად უნდა გითხრათ, უკურეაქციის მეშინოდა.

● საქართველოს ველოსიპედისტებმა პირველ ეტაპზე მოპოვებული უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნეს. რით იყო ეს გამოწვეული, ბიჭების სიძლიერით, თუ მეთოქეების სისუსტით?

— ჩვენი გუნდი არავისზე ძლიერი არ იყო. მაგრამ ტაქტიკა სწორედ შევარჩიეთ და მას განუხრელად ვანხორციელებდით. ეს იყო ჩვენი მთავარი კოზირი, თორემ უკრაინასა და რუსეთის ფედერაციას ოთხ-ოთხი გუნდი გამოჰყავდა. მათ რომ სწორი ტაქტიკით და ერთიანი გეგმით ემუშავათ, ცხადია, გაგვიჭირდებოდა.

● რას ემყარებოდა თქვენი ტაქტიკური ჩანაფიქრი?

— სამთო ეტაპებზე წარმატებით ბრძოლა გუნდის სამ წევრს შეეძლო — ვასილი დავიდენკოს, გარი კეხბასა და ვიქტორ ოვანესიანს. მთავარი აქცენტი, ბუნებრივად, ამ სამეულზე გადავიტანეთ, მით უფრო, რომ გუნდურ ჩათვლას სამი საუკეთესო შედეგი იძლეოდა. მეორე სამეულს — ბაჩუკი ხორგუანს, მამუკა შუბითიძესა და ვიტალი მუშკუდიანს უმთავრესად შავი სამუშაოს ჩატარება უხდებოდათ. და ეს ამოცანა მათ ბრწყინვალედ გადაწყვიტეს.

● ხომ არ დაიჩაგრენ ახინი ამის გამო?

— ჩვენი მიზანი იმთავითვე ერთიანი, მტკიცე და მეგობრული კოლექტივის შექმნა იყო. და მივაღწიეთ კიდეც მიზანს. როლები გუნდის ექვსივე წევრს მტკიცედ ჰქონდა განაწილებული, ყველაფერი გუნდის ინტერესებს დავუქვემდებარეთ და ამან სასურველი შედეგი გამოიღო. სწორედ ამიტომ, დღევანდელი სიხარულს განურჩევლად ყველა მონაწილე იზიარებს. კოლექტივი დიდი ძალაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მისმა წევრებმა იციან რა უნდა გააკეთონ და რისთვის იბრძოლონ.

● თუ გაქვთ სურვილი ამ საუბარს რაიმე დაუმატოთ?

— დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველას ვინც მხარში ამოგვიდგა, ხელი შეგვიწყო, ზრუნვა და დახმარება არ დაგვაკლო. მე მაგალითად, ამ წარმატების ერთ-ერთ თანაავტორად მიმაჩნია პარტიის ვანის რაიკომის პირველი მდივანი ნოდარ ანდრიაძე, რომელმაც ყოველმხრივ შეგვიწყო ხელი მზადებაში (შარშანდელი სექტემბრიდან მოყოლებული რამდენიმე თვე ჩვენი გუნდი ვანში ვარჯიშობდა). მადლიერების გრძნობით ვიხსენებთ ლესელიძის ბაზისა და ბორის ძნელაძის სახელობის კომკავშირული ქალაქის ხელმძღვანელებს, ყველას, ვისაც ჰქონდა ჩვენთან საქმიანი კონტაქტი და ვინც მხარს გვიჭერდა. მადლობა მინდა გადავუხადო ნაკრების მწვრთნელთა ბრიგადის წევრებს — ავთანდილ ხახიაურს, რამაზ წაქაძეს, პეტრე ჩევარდოვს, გუნდის წევრთა პირად მწვრთნელებს — ვიქტორ მალცევს, ვლადიმერ კეხბას, ალექსანდრე თავაძეს, გივი ყაველაშვილსა და მიხეილ ხარაბაძეს. საგანგებოდ მინდა გამოვყო ავთანდილ გუნია, რომელიც ლიხნშიც და ჭირშიც მხარში გვედგა, ხელს გვიწყობდა, გვეხმარებოდა, და ბოლოს მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც ეს დიდი გამარჯვება ჩვენთან ერთად იზეიმა.

ბრაზი და ფეხბურთი

ბაკურ ბაბალაძეს ბევრ თელთა ღია ჩემპიონატი ქალთა მორის მოიგო შტეფი გრაფმა (გფრ), რომელმაც ფინალში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ნატალია ზვერევა დაამარცხა — 6:0, 6:0. გერმანელმა სპორტსმენმა გადამწყვეტი შეხვედრა ძლიერად ჩაატარა, და ბრძოლა სარეკორდოდ მოკლე დროში — 34 წუთში დაამთავრა. და მაინც ზვერევას მონაწილეობა ასეთი პრესტიჟული ტურნირის ფინალში უკვე თავისთავად დიდი წარმატებაა.

ვაჟთა გადამწყვეტ შეხვედრაში შვედმა მათს ვილანდერმა ანრი ლეკონტს (საფრანგეთი) აჯობა — 7:5, 6:2, 6:1.

ორი კვირის შემდეგ მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელები უიმბლდონის ტურნირზე შეიკრიბებიან. 10–12 ივნისს კი საბჭოთა კავშირის ვაჟთა ნაკრები (ანდრეი ჩესნოკოვი, ალექსანდრე ვოლკოვი, ანდრეი ოლხოვსკი და ანდრეი ჩერკასოვი) დევისის თასის გათამაშებაში პორტუგალიის გუნდს მისსავე მოედანზე ეთამაშება.

კვლავ ალენ პროსტი

მექსიკაში, პედრო და რიკარდო როდრიგესის სახელობის ტრასაზე, გაიმართა „ფორმულა 1“-ს ავტომობილებით რბოლაში მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი, მეოთხე ეტაპი. კვლავ შესანიშნავად იასპარეზა ფრანგმა მრბოლმა ალენ პროსტმა, რომელიც „მაკლარენ-ჰონდას“ ფირმის ავტომობილს საჭეს უხის და წლევანდელ სეზონში უკვე მესამე, საერთოდ კი 31-ე „დიდი პრიზი“ მოიპოვა. იგი საგრძნობლად უსწრებს უახლოეს მეტოქეს, ავსტრიელ გერჰარდ ბერგერს.

„სპორტლოტო“

გუშინწინ მოსკოვში მოეწყო „სპორტლოტოს“ მორიგი, 23-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 8 (ტრეკზე ველორბოლა), 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 14 (აკადემიური ხიჩბოსნობა), 17 (ციგურაობა), 18 (მძლეოსნობა), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 4 (კრივი), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 6 (ძიუდო), 23 (თხილამურებით ხტომა და ორჭიდი), 25 (ციგაობა).

ტექნიკური შედეგები

ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშები. მრავალდღიანი ველორბოლა. 27 მაისი — 4 ივნისი. ვანი — თბილისი.

გუნდური ჩათვლა. 1. საქართველო — 63:45.08, 2. უკრაინა — 63:45.18, 3. რუსეთის ფედერაცია (ნაკრები) — 63:47.16, 4. უზბეკეთი (ნაკრები) — 63:55.31, 5. ხარკოვის ოლქი (უკრაინა) — 64:01.43, 6. გორკის ოლქი (რუსეთის ფედერაცია) — 64:06.56, 7. ტაჯიკეთი — 64:14.02, 8. მოსკოვი — 64:16.05, 9. უზბეკეთი — 64:20.37, 10. სომხეთი — 64:23.29, 11. დნეპროპეტროვსკის ოლქი (უკრაინა) — 64:23.30, 12. ბელორუსია — 64:31.46, 13. აზერბაიჯანი — 64:42.20, 14. ლენინგრადი — 64:43.45, 15. მოლდავეთი — 64:44.07, 16. ჩუვაშეთის ავტონომიური რესპუბლიკა (რუსეთის ფედერაცია) — 64:50.04, 17. ალატაუს ოლიმპიური მომზადების ცენტრი (ყაზახეთი) — 64:50.04, 18. ესტონეთი — 65:00.08, 19. კრასნოდარის მხარე (რუსეთის ფედერაცია) — 65:02.42, 20. ლატვია — 65:05.01, 21. ყირგიზეთი — 65:26.44, 22. ყირიმის ოლქი (უკრაინა) — 65:38.12, 23. ლიტვა — 65:44.18.

პირადი ჩათვლა. 1. ვასილი დავიდენკო (საქართველო) — 21:12.33, 2. გარი კეხბა (საქართველო) — 21:14.19, 3. დიმიტრი ჩერკაშინი (რუსეთის ფედერაცია) — 21:15.38, 4. სერგეი სავინოჩკინი (უკრაინა) — 21:15.53, 5. ანდრეი სვირიდოვი (მოსკოვი) — 21:16.15, 6. ტალგატ კულბაევი (ყაზახეთი) — 21:16.33, 7. ვიქტორ ოვანესიანი (საქართველო) — 21:16.51, 8. ვიტალი ბარსუკოვი (უკრაინა) — 21:18.10, 9. იგორ პრუცკიხი (რუსეთის ფედერაცია) — 21:18.13, 10. ვიქტორ სოლოვეიოვი (ხარკოვის ოლქი, უკრაინა) — 21:18.36.

უველაზე სტაბილური ველოსიპედისტები. 1. ვასილი დავიდენკო (საქართველო) — 31 საჯარიმო ქულა, 2. დიმიტრი ჩერკაშინი (რუსეთის ფედერაცია) — 71, 3. ვიტალი ბარსუკოვი (უკრაინა) — 106.

უველაზე აქტიური ველოსიპედისტები. 1. ევგენი მოსკალიოვი (ყაზახეთი) — 24 ქულა, 2. ვასილი დავიდენკო (საქართველო) — 19, 3. იური ამელინინი (მოსკოვი) — 13.

საუკეთესონი სამთო ეტაპებზე. 1. ვასილი დავიდენკო (საქართველო) — 27 ქულა, 2. ტალგატ კულბაევი (ყაზახეთი) — 17, 3. ვიქტორ როტერმელი (ყაზახეთი) 16.

უველაზე უნივერსალური ველოსიპედისტი. 1. ვასილი დავიდენკო (საქართველო) — 25 ქულა.

ბოლო მატჩმა გადაწყვიტა

დამთავრდა ოლიმპიური რეზერვისა და I ლიგის ფეხბურთელთა გუნდებთან არსებული სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების საკავშირო პირველობის VI ჯგუფის თამაშები.

გამოტოვებული მატჩი ლანჩხუთის „გურიისა“ და თბილისის 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის გუნდს შორის დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 5:1.

ყველაფერი ბოლო შეხვედრაში 35-ე სკოლის გუნდსა და ბათუმის „დინამოს“ შორის უნდა გადაწყვეტილიყო. თბილისელები მარტო გამარჯვების შემთხვევაში ინაღდებდნენ ქვეჯგუფში მეორე ადგილს და ფინალურ ტურნირში მონაწილეობის საგზურს, მათ ამ რთულ ამოცანას წარმატებით გაართვეს თავი, გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით — 6:1 და თბილისის „ნორჩ დინამოელთან“ ერთად ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

საკუთარ ველოსიპედისტებმა პირველ ეტაპზე მოპოვებული უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნეს. რით იყო ეს გამოწვეული, ბიჭების სიძლიერით, თუ მეთოქეების სისუსტით?

— ჩვენი გუნდი არავისზე ძლიერი არ იყო. მაგრამ ტაქტიკა სწორედ შევარჩიეთ და მას განუხრელად ვანხორციელებდით. ეს იყო ჩვენი მთავარი კოზირი, თორემ უკრაინასა და რუსეთის ფედერაციას ოთხ-ოთხი გუნდი გამოჰყავდა. მათ რომ სწორი ტაქტიკით და ერთიანი გეგმით ემუშავათ, ცხადია, გაგვიჭირდებოდა.

● რას ემყარებოდა თქვენი ტაქტიკური ჩანაფიქრი?

— სამთო ეტაპებზე წარმატებით ბრძოლა გუნდის სამ წევრს შეეძლო — ვასილი დავიდენკოს, გარი კეხბასა და ვიქტორ ოვანესიანს. მთავარი აქცენტი, ბუნებრივად, ამ სამეულზე გადავიტანეთ, მით უფრო, რომ გუნდურ ჩათვლას სამი საუკეთესო შედეგი იძლეოდა. მეორე სამეულს — ბაჩუკი ხორგუანს, მამუკა შუბითიძესა და ვიტალი მუშკუდიანს უმთავრესად შავი სამუშაოს ჩატარება უხდებოდათ. და ეს ამოცანა მათ ბრწყინვალედ გადაწყვიტეს.

● ხომ არ დაიჩაგრენ ახინი ამის გამო?

— ჩვენი მიზანი იმთავითვე ერთიანი, მტკიცე და მეგობრული კოლექტივის შექმნა იყო. და მივაღწიეთ კიდეც მიზანს. როლები გუნდის ექვსივე წევრს მტკიცედ ჰქონდა განაწილებული, ყველაფერი გუნდის ინტერესებს დავუქვემდებარეთ და ამან სასურველი შედეგი გამოიღო. სწორედ ამიტომ, დღევანდელი სიხარულს განურჩევლად ყველა მონაწილე იზიარებს. კოლექტივი დიდი ძალაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მისმა წევრებმა იციან

„შევარდენმა“ სხვებს აჯობა

იუო დრო, რეგბისტთა გუნდების მწვრთნელები მოთამაშეებს სანთლით ეძებდნენ. ჩვენი რეგბის არცთუ შორეული წარსული გავიხსენოთ: ხანგრძლივ შეჯიბრებებში „მოკლე სკამთან“ ფონს გასვლა ჭირდა, მოთამაშეთა დეფიციტს მწვრთნელები სხვა სახეობებიდან „გადმოხვეწილი“ ჭაბუკებით ავსებდნენ, ამიტომ ენთუზიასტ რეგბისტთა გვერდით მრავლად იყვნენ ყოფილი ფეხბურთელები, კალათბურთელები, მძლეოსნები, მოჭიდაველები. ეს კიდევ არაფერი: ყოფილა შემთხვევა, მწვრთნელს მოთამაშე პლაჟზე და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბანაობიც კი უპოვია.

დრონი იცვლებიან, კურიოზებით აღსავსე ჩვენი რეგბის ისტორია წარსულად იქცა. დღეს უმაღლესი და პირველი ლიგების საკავშირო პირველობებში მოასპარეზე ჩვენი რესპუბლიკის გუნდებში — ქუთაისის „მშენებელში“, თბილისის „ელმავალსა“ და „შევარდენში“ ვეტერანებთან ერთად გამოდიან ის რეგბისტები, რომლებიც ბავშვობიდან დაეუფლნენ რეგბის ანბანს. ეს პროცესი 70-იანი წლების შუა პერიოდიდან დაიწყო. სწორედ ამ დროს ჩაეყარა საფუძველი მოზარდ და ჭაბუკ რეგბისტთა ტურნირებს — ჩვენი ოსტატთა გუნდების რეზერვების დათვალიერებას.

ახლახან ბათუმში ჩატარდა ერთი ასეთი შეჯიბრება — 1970-1971 წლებში დაბადებულ რეგბისტთა რესპუბლიკური პირველობა. აქ ექვსი გუნდი შეიკრიბა: „თბილისური ტრიო“ განათლების სამმართველოს რეგბისა და ბეისბოლის სპორტსკოლის გუნდის, „ელმავლისა“ და „შევარდენის“ შემადგენლობით, ქუთაისის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის კოლექტივები. მათ ბათუმის მახლობლად, ანგისის სტადიონზე იასპარეზეს.

„ფერი ფერს, უკეთესი ადგილი გამარჯვებულს“ — ასეთია შეჯიბრების იმ სისტემის არსი, რომელიც ტრადიციული გახდა ამ პირველობისთვის: მოასპარეზენი ჯერ ორ ჯგუფად იყოფიან, ატარებენ

წრიულ ტურნირს, შემდეგ კი ჯგუფებში პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასული გუნდები ერთმანეთთან არკვევენ ურთიერთობას.

პირველ ჯგუფში, რომელშიც „შევარდენი“, ქუთაისისა და ლანჩხუთის გუნდები გაერთიანდნენ, ფავორიტებად, რა თქმა უნდა, თბილისელი და რიონისპირელი ბიჭები ითვლებოდნენ, ასე რომ, ერთი ფინალისტის ვინაობა სწორედ მათ შეხვედრაში უნდა გარკვეულიყო. ჭაბუკმა რეგბისტებმა მოლოდინი გაგვიმართლეს — ეს იყო ამ პირველობის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი. პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ — 7:7, მეორეში კი თბილისელებმა იძალეს, 16 „მშრალი“ ქულა მოაგროვეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 23:7. რაც შეეხება ლანჩხუთელებს, მათ ჯერ ყველაფერი წინა აქვთ — აქ ეს-ესაა ჩამოყალიბდა მოზარდთა გუნდები, ამ ასაკის რეგბისტთა პირველობაშიც ლანჩხუთელებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა და ხელშეწყობა თუ ექნათ, ლელობურთის მდიდარი ტრადიციებით ცნობილ რაიონში აღზრდილი ყმაწვილებისგან მომავალში მეტს უნდა ველოდეთ.

მეორე ჯგუფშიც თბილისელებმა, „ელმავლის“ რეგბისტებმა იმარჯვეს და ფინალურ მატჩში ერთმანეთის პირისპირ თანაქალაქელები წარსდგნენ. გამარჯვება (16:3) და პირველი ადგილი მოიპოვა „შევარდენმა“, რომელსაც მერაბ აბდუშელიშვილი ავარჯიშებს. ამ გუნდის წარმატება შემთხვევითი არ ყოფილა: ასაკის კვალობაზე „შევარდენი“ კარგად შეკრული, შეთამაშებული გუნდია, მისი წევრები დიდი ხანია ერთად ვარჯიშობენ, ზოგიერთ მათგანს „უფროსი“ „შევარდენის“ შემადგენლობაში საკავშირო ჩემპიონატის შეხვედრებშიც უთამაშია. პირველობის მატჩებში თავი დაგვახსოვეს ამ გუნდის შემდეგმა მოთამაშეებმა: ტურნირის საუკეთესო სამმეოთხედელად დასახელებულმა ირაკლი დვალმა, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრმა გიორგი ღვინიაშვილმა, რომელმაც წელს ევროპის ვიცე-ჩემპიონის წოდება მოიპოვა, მავლეგ ჯანელიძემ, ირაკლი თეზელაშვილმა, ლაშა ცხადაძემ და ნუგზარ კიკნაძემ.

მესამე ადგილისთვის გამართულ მატჩში ქუთაისელებმა დიდი ანგარიშით — 24:0 დაამარცხეს თბილისის განათლების სამმართველოს სპორტსკოლის გუნდი.

თ. შენგელია.

რედაქტორი

თ. გაჩეჩილაძე.

საქართველოს ფიზიკური კულტურის ტექნიკუმი

10 ივნისს 15 საათზე ტექნიკუმში შემსვლელთათვის აწყობს „ღია კარის“ დღეს.

აბიტურიენტებს შეხვდებიან პროფესორ-მასწავლებლები და ტექნიკუმის მოსწავლეები.

არჩეულ სპეციალობასთან დაკავშირებულ საინტერესო საკითხებზე მათ უპასუხებენ დირექციის, პარტიული და კომკავშირული კომიტეტის წარმომადგენლები.

გაიმართება საუბრები ტექნიკუმის სტრუქტურის და სპეციალიზაციების სპეციფიკის შესახებ.

შარშანდელი მისაღები გამოცდების საგნობრივი კომისიების თავმჯდომარეები ისაუბრებენ მისაღები გამოცდების თავისებურებათა შესახებ.

მისამართი: თბილისი, კონსტიტუციის ქ. № 6.

საქართველოს ფიზიკური კულტურის ტექნიკუმი.

„ლოკომოტივის“ სტადიონი

9 ივნისი

რეგბი

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი „ელმავალი“ (თბილისი) — „ზილი“ (მოსკოვი)

დასაწყისი 18 სთ. და 30 წთ.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380098
თბილისი, ლენინის ქ. 14.
ტელეფონებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივანი — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი
00435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380098, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ბოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05381